იჯარის ხელშეკრულება #8

ქ. გურჯაანი 19.06.2023 წ.

1. ხელშეკრულების მხარეები:

1.1 ერთი მხრივ, ა.(ა).ი.პ გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრი ს/კ 227767841 , (შემდგომში მეიჯარე) მისი დირექტორის ზურაბ ხუროშვილის სახით და მეორე მხარე, მოიჯარე- ა(ა)იპ ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრი ს/კ 241580240, მისი დირექტორი მაია ზარდიაშვილი, სრული ნებაყოფლობით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი:

2.1 „მეიჯარე“ გადასცემს, ხოლო „მოიჯარე“ სარგებლობის უფლებით იღებს გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრის განათების აპარატურის ერთი დღით სარგებლობას CPV 92312000 ხელშეკრულებას თან ერთვის მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

2.2 ქირა განისაზღვრება ერთჯერადად **400 (ოთხასი)** ლარის ოდენობით.

3. მხარეთა უფლება მოვალეობები:

3.1 მეიჯარე - გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრი ვალდებულია გადასცეს მოიჯარეს გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრის **განათების აპარატურა 2023 წლის 20 ივნისს.**

3.2 მომსახურების გაწევის ვადის დასრულებამდე გამოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტაცია;

3.3 მოიჯარე ვალდებულია ფართით სარგებლობისათვის მეიჯარეს გადაუხადოს იჯარის ქირა.

3.4 მოიჯარე ვალდებულია მისთვის გადაცემული ქონება გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნით, მიიღოს ყველა ზომა საიჯარო ქონების ნორმალურ მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის;

3.5 იმოქმედოს ჯანდაცვის სამინისტროს რეგულაციების გათვალისწინებით;

3.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შუსრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით;

4. ანგარისწორების ფორმა და წესი:

4.1 მეიჯარესთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების წესით, ეროვნულ ვალუტაში;

4.2 მეიჯარესთან ანგარიშსწორება იწარმოებს მოიჯარის მიერ, მიწოდებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღეში.

5. ფორს-მაჟორი:

5.1 მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

5.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებეისაგან;

5.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველია ძალის მოქმედების დასრულებისათანავე.

6. დავების გადაჭრის წესი:

6.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის

შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს,საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2023 წლის 21 ივნისამდე.

8. მხარეთა რეკვიზიტები:

„მეიჯარე“

ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრი,

ქ. გურჯაანი. თამარ მეფის N16

ს/კ 227767841

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის ნომერი: 200122900

სახაზინო კოდი: 745717019

კ/ცენტრის დირექტორი: GURJAANI MUNICIPAL CULTURAL CENTER Digitally signed by GURJAANI MUNICIPAL CULTURAL CENTER Date: 2023.06.19 15:52:12 +04'00' **/ზ.ხუროშვილი/**

„მოიჯარე“

ა(ა)იპ ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრი

ქ. ყვარელი, კუდიგორის ქუჩა N 2

ს/კ 241580240,

კ/ცენტრის დირექტორი: Kvareli Culture Development Center Digitally signed by Kvareli Culture Development Center Date: 2023.06.19 15:58:46 +04'00' **/მ. ზარდიაშვილი/**